# ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

## I თავი.

### ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

1. ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით:

| დასახელება | 2024 წლის გეგმა | | | 2024 წლის ფაქტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები |
| **I. შემოსავლები** | **27 035,2** | **13 650,9** | **13 384,3** | **26 994,0** | **13 642,7** | **13 351,4** |
| გადასახადები | **12 264,9** | 12 264,9 | - | **12 685,5** | 12 685,5 | - |
| გრანტები | **13 384,3** | - | 13 384,3 | **13 351,4** | - | 13 351,4 |
| სხვა შემოსავლები | **1 386,0** | 1 386,0 | | **957,2** | 957,2 | |
| **II. ხარჯები** | **15 276,9** | **14 430,8** | **846,1** | **15 001,0** | **14 163,2** | **837,8** |
| შრომის ანაზღაურება | **3 688,6** | 3 684,8 | 3,8 | **3 670,5** | 3 666,7 | 3,8 |
| საქონელი და მომსახურება | **3 080,7** | 2 468,1 | 612,6 | **2 996,2** | 2 386,2 | 610,0 |
| პროცენტი | **21,2** | 21,2 | - | **21,2** | 21,2 | - |
| სუბსიდიები | **7 044,9** | 6 907,2 | 137,7 | **6 961,2** | 6 829,2 | 132,0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | **878,7** | 824,2 | 54,5 | **847,1** | 792,6 | 54,5 |
| სხვა ხარჯები | **562,9** | 525,4 | 37,5 | **504,8** | 467,3 | 37,5 |
| **III. საოპერაციო სალდო** | **11 758,3** | **- 779,9** | **12 538,2** | **11 993,0** | **- 520,6** | **12 513,6** |
| **IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება** | **13 396,3** | **174,9** | **13 221,4** | **13 196,9** | **325,0** | **12 871,9** |
| ზრდა | **16 230,6** | **3 009,2** | **13 221,4** | **15 748,9** | **2 876,9** | **12 871,9** |
| კლება | **2 834,3** | **2 834,3** | **-** | **2 551,9** | **2 551,9** | **-** |
| **V. მთლიანი სალდო** | **- 1 638,0** | **- 954,8** | **- 683,2** | **- 1 203,9** | **- 845,6** | **- 358,3** |
| **VI. ფინანსური აქტივების ცვლილება** | **- 1 745,8** | **- 1 062,6** | **- 683,2** | **- 1 311,7** | **- 953,3** | **- 358,3** |
| ზრდა | **-** | **-** | **-** | | | |
| ვალუტა და დეპოზიტები | **-** | - | - | | | |
| სესხები | **-** | | | **-** | | |
| აქციები და სხვა კაპიტალი | **-** | | | **-** | | |
| კლება | **1 745,8** | **1 062,6** | **683,2** | **1 311,7** | **953,3** | **358,3** |
| ვალუტა და დეპოზიტები | **1 745,8** | 1 062,6 | 683,2 | **1 311,7** | 953,3 | 358,3 |
| სესხები | **-** | | | **-** | | |
| აქციები და სხვა კაპიტალი | **-** | | | **-** | | |
| **VII. ვალდებულებების ცვლილება** | **- 107,8** | **- 107,8** | **-** | **-107,8** | **- 107,8** | **-** |
| ზრდა | **-** | - | - | **-** | - | - |
| საშინაო | **-** | - | - | **-** | - | - |
| სესხები | **-** | - | | **-** | - | |
| **VIII. ბალანსი** | **0.0** | **0.0** | **-** | **0.0** | **0.0** | **-** |

2. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შედარება შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან

| დასახელება | 2024 წლის გეგმა | | | 2024 წლის ფაქტი | | | შესრულების პროცენტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები |
| **შემოსულობები** | **29 869,5** | **16 485,2** | **13 384,3** | **29 545,9** | **16 194,6** | **13 351,4** | 99,0 | 98 | 100 |
| შემოსავლები | **27 035,2** | 13 650,9 | 13 384,3 | **26 994,0** | 13 642,7 | 13 351,4 | 100 | 100 | 100 |
| არაფინანსური აქტივების კლება | **2 834,3** | 2 834,3 | | **2 551,9** | 2 551,9 | - | 90 | 90 | - |
| ვალდებულების ზრდა | - | - | - | - | - | - | - | - | - |
| **გადასახდელები** | **31 615,3** | **17 547,8** | **14 067,5** | **30 857,6** | **17 147,9** | **13 709,7** | 98 | 98 | 98 |
| ხარჯები | **15 276,9** | 14 430,8 | 846,1 | **15 001,0** | 14 163,2 | 837,8 | 98 | 98 | 98 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | **16 230,6** | 3 009,2 | 13 221,4 | **15 748,9** | 2 876,9 | 12 871,9 | 97 | 97 | 97 |
| ვალდებულებების კლება | **107,8** | 107,8 | - | **107,8** | 107,8 | - | 100 | 100 | - |
| **ნაშთის ცვლილება** | **- 1 745,8** | **- 1 062,6** | **- 683,2** | **- 311,7** | **- 953,3** | **- 358,4** | 18 | 90 | 52 |

საგადასახადო შემოსავლები:

| დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|
| **დამატებული ღირებულების გადასახადი** | 11264,9 | **11524,8** | **94** |
| **ქონების გადასახადი** | **1000,0** | **1160,6** | **116** |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 880,0 | 1005,4 | **114** |
| უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | - | 7,7 | - |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | - | 23,2 | **-** |
| სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 40,0 | 44,1 | **110** |
| არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 80,0 | 80,2 | **100** |
| ***გადასახადები სულ*** | ***12264,9*** | ***12685,4*** | ***103*** |

გრანტები:

| დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|
| **საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები** | **15,3** | **15,3** | **100** |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 574,6 | 573,2 | 100 |
| სპეციალური ტრანსფერი | 150,0 | 150,0 | 100 |
| კაპიტალური ტრანსფერი (მათ შორის სოფლის მხარდამჭერის პროგრამა (734 000) და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო (2500000) | 12644,4 | 12612,8 | 99,8 |
| *სულ* | ***13384,3*** | ***13351,3*** | ***99,8*** |

| N | თანხა | გრანტი სპეციალური ტრანსფერის გამომყოფი | გრანტის სახე | გრანტის მიზნობრიობა | გრანტის გამოყოფის საფუძველი |
|---|---|---|---|---|---|

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 574,6 | ცენტრალური ხელისუფლება | მიზნობრივი ტრანსფერი | დელეგირებული ფუნქციების შესასრულებლად (ჯანდაცვის ა(ა)იპ; ბავშვთა უფლებების დაცვის პროგრამა; საჯარო სკოლების ხელშეწყობა) | 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონი |
| 2 | 150,0 | ცენტრალური ხელისუფლება | სპეციალური ტრანსფერი | ფინანსური დახმარების მიზნით | 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონი |
| 3 | 12644,4 | ცენტრალური ხელისუფლება | კაპიტალური ტრანსფერი | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, გზების, წყლების, სპორტული მოედნების, სტიქიის პრევენცია-ნაპირსამაგრები | 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონი |

სხვა შემოსავლები:

| დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|
| **სხვა შემოსავლები სულ** | **1386,0** | **957,1** | **69** |
| **შემოსავლები საკუთრებიდან** | **859,0** | **532,6** | **62** |
| პროცენტები | 150,0 | 99,2 | 66 |
| **რენტა** | 709,0 | 433,4 | 61 |
| **საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია** | **257,0** | **231,3** | **90** |
| **ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები** | **222,0** | **185,2** | 83 |
| სანებართვო მოსაკრებელი | 110,0 | 93,3 | 85 |
| მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვებზე | | | |
| საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი | | | |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | 2,0 | - | - |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 110,0 | 91,9 | 84 |
| **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება** | **35,0** | **46,1** | **132** |
| **სანქციები (ჯარიმები და საურავები)** | **210,0** | **130,8** | **62** |
| **ტრანსფერი რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული** | **60,0** | **62,4** | **104** |

არაფინანსური აქტივების კლება:

| დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|
| ძირითადი აქტივები | **697,9** | **814,8** | **117** |
| მატერიალური მარაგები | 0 | 0 | |
| არაწარმოებული აქტივები | **2136,4** | **1737,1** | **81** |
| მიწა | 2136,4 | 1737,1 | 81 |
| **არაფინანსური აქტივების კლება** | **2834,3** | **2551,9** | **90** |

ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით:

| დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|
| შრომის ანაზღაურება | 3688,6 | 3670,5 | 99 |

| | | | |
|---|---|---|---|
| საქონელი და მომსახურება | 3080,7 | 2996,2 | 97 |
| პროცენტი | 21,2 | 21,2 | 100 |
| სუბსიდიები | 7044,9 | 6961,2 | 99 |
| გრანტები | - | - | - |
| სოციალური უზრუნველყოფა | 878,7 | 847,1 | 96 |
| სხვა ხარჯები | 562,9 | 504,8 | 90 |
| *ხარჯები სულ* | **15276,9** | **15001,0** | **98** |

**არაფინანსური აქტივების ზრდა:**

| დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|
| ძირითადი აქტივები | **16230,6** | **15748,9** | **97** |
| | | | |
| *არაფინანსური აქტივების ზრდა* | **16230,6** | **15748,9** | **97** |

**არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი პროგრამული კლასიფიკაციის კოდების მიხედვით შემდეგია:**

| პროგრამული კოდი | დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|---|
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | 669,7 | 650,1 | 97 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 14301,3 | 13892,8 | 97 |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 6,5 | 6,4 | 98 |
| 04 00 | განათლება | 5,3 | 5,3 | 100 |
| 05 00 | კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი | 1206,5 | 1192,1 | 99 |
| 06 00 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 41,3 | 2,1 | 5 |

**ვალდებულებები:**

| დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|
| საშინაო კრედიტორები | 107,8 | 107,8 | 100 |
| *ვალდებულებების კლება* | **107,8** | **107,8** | **100** |

ვალდებულებების კლება წარმოადგენს:

- ✓ მუნიციპალიტეტის მიერ 2017 წელს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებულ სესხის (დასუფთავების სპეც ტექნიკა და ურნები) დაფარვას. მგფ-ის მიმართ მუნიციპალიტეტის სასესხო დავალიანება 2024 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 269,4 ლარს.
- ✓ მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2022 წელს მიღებულია უსასყიდლო სესხი, რომლის დაფარვის ზღვრული თარიღია 2024 წლის 20 ნოემბერი. 2024 წლის 01 იანვრის მდგომარეობით ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულებები განისაზღვრა 2269,4 ათასი ლარით.

2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულებები შეადგენს 2 161.6 ათას ლარს

**ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება:**

საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა -1311,7 (ფაქტი) ათასი ლარის ოდენობით.

ფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა 1311,7 (ფაქტი) ათასი ლარი.

**ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთები**

2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ირიცხებოდა 495,0 ათასი ლარი;

**საქართველოს მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი თანხებიდან 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთმა შეადგინა 340932,93 ლარი, მათ შორის:**

| საქ. მთავრობის განკარგულება | ნაშთი |
|---|---|
| N277 15/02/2022 | 5332,73 |
| N136 18/01/2018 | 0,30 |
| N1305 29/07/2021 | 5296,87 |
| N2101 06/10/2017 | 54,26 |
| N1419 16/08/2021 | 9792,36 |
| N2685 31/12/2020 | 5242,96 |
| N1409 18/07/2016 | 0,39 |
| N75 17/01/2022 | 7540,09 |
| N330 11/03/2021 | 0,64 |
| N2010 20/09/2019 | 1173,27 |
| N27 09/01/2020 | 0,50 |
| N168 05/02/2021 | 9442,44 |
| N2475 29/12/2022 | 8299,07 |
| N116 20/01/2023 | 17948,97 |
| N2476 29/12/2022 | 9946,25 |
| N2400 28/12/2023 | 206699,79 |
| N2401 28/12/2023 | 7024,34 |
| N2402 28/12/2023 | 1550,96 |

| | |
|---|---|
| N746 30/05/2024 | 40571,67 |
| N1025 23/07/2024 | 2262,21 |
| N550  19/04/2024 | 2752,86 |

**2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მიზნობრივი ტრანსფერის ნაშთმა შეადგინა 45,0 ლარი.**

**2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ადგილობრივმა თავისუფალმა ნაშთმა შეადგინა 109,2 ლარი.**

შესრულება ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

| ფუნქციონალურ ი კოდი | დასახელება | 2024 წლის გეგმა | 2024 წლის ფაქტი | პროცენ ტი |
|---|---|---|---|---|
| 7.1 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | **5574,6** | 5473,4 | 98 |
| 7.1.1 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 5553,4 | 5452,3 | 98 |
| 7.1.1.1 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 5553,4 | 5452,3 | 98 |
| 7.1.1.2 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 0,57 | | |
| 7.1.6 | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები | 21,2 | 21,2 | 100 |
| **7.2** | თავდაცვა | | | |
| 7.2.2 | სამოქალაქო თავდაცვა | | | |
| **7.4** | ეკონომიკური საქმიანობა | 12417,4 | 12052,5 | 97 |
| 7.4 5 | ტრანსპორტი | 7734,8 | 7702,6 | 100 |
| 7.4 5 1 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 7734,8 | 7702,6 | 100 |
| **7.5** | გარემოს დაცვა | 2029,6 | 2009,9 | 99 |
| 7.5 1 | ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება | 1558,6 | 155,9 | 100 |
| 7.6 | საბინაო კომუნალური მეურნეობა | 3302,4 | 3257,5 | 99 |
| 7.6.1 | ბინათმშენებლობა | 8682,8 | 8682,0 | 100 |
| 7.6 3 | წყალმომარაგება | 932,5 | 915,3 | 98 |
| 7.6 4 | გარე განათება | 466,2 | 466,1 | 100 |
| 7.6.6 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | 1895,0 | 1867,4 | 99 |
| 7.7 | ჯანმრთელობის დაცვა | 493,8 | 434,6 | 88 |
| 7.7.2 | ამბოლატორიული მომსახურება | 314,8 | 300,5 | 95 |
| 7.7.2.1 | ზოგადი პროფილის ამბოლატორიული მომსახურება | 47,9 | 46,5 | 97 |
| 7.7.2.4 | საშუალო სამედიცინო პერსონალის მომსახურება | 266,8 | 253,9 | 95 |
| 7.7 4 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 179,0 | 134,1 | 75 |
| 7.8 | დასვენება, კულტურა და რელიგია | 4144,0 | 4067,6 | 98 |
| 7.8 1 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 1665,5 | 1627,2 | 98 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7.8 2 | მომსახურება კულტურის სფეროში | 2212,0 | 2181,1 | 99 |
| 7.8 3 | ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | 216,4 | 209,3 | 97 |
| 7.8.4 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 50,0 | 50,0 | 100 |
| 7.9 | **განათლება** | 2341,2 | 2326,9 | 99 |
| 7.9 1 | სკოლამდელი აღზრდა | 1707,2 | 1699,1 | 100 |
| 7.9 2 | ზოგადი განათლება | 55,4 | 52,2 | 94 |
| 7.9 2 3 | საშუალო ზოგადი განათლება | 55,4 | 52,2 | 94 |
| 7.9.6 | განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება | 578,6 | 575,6 | 99 |
| 7. 10 | **სოციალური დაცვა** | 1204,5 | 1127,4 | 94 |
| 7. 10. 4 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 58,5 | 58,5 | 100 |
| 7. 10. 9 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 1146,0 | 1068,9 | 93 |
| | **სულ** | **31507,5** | **30749,9** | **98** |

## II თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ შეადგინა 30857,6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის - 31615,3 ლარის 98 პროცენტია.



პრიორიტეტების მიხედვით დაფინანსების სრტრუქტურა შემდეგია:

| ხარჯების სტრუქტურა პრიორიტეტების მიხედვით | | | |
|---|---|---|---|
| პროგ. კოდი | დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2024 ფაქტი | % |
| სულ | მუნიციპალიტეტის ასიგნებები | 30857,6 | 98 |
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | 5581,2 | 17 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 16371,7 | 53 |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 1397,6 | 4 |
| 04 00 | განათლება | 2326,9 | 7 |
| 05 00 | კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი | 4067,6 | 13 |
| 06 00 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 1112,6 | 4 |



**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 01 00)**

საანგარიშო წელს მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 5581,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (5682,4 ლარი) 98 პროცენტია.

აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები: 1. მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა - 1148,2 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია - 4304,1 ათასი ლარი, 2. საერთო დანიშნულების ხარჯი: სარეზერვო ფონდი (გეგმა-40,0 ათასი ლარი) მერის გადაწყვეტილებით ათვისებულია 39,9 ლარი. მათ შორის:

| N | ორგანიზაციული კოდი | ბრძანების ნომერი და თარიღი | ხარჯის დანიშნულება | თანხა (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| 1 | 04 04 | ბრძანებაNბ76.7624072001. თარიღი 12/03/2024წ. | მოსწავლე - ახალგაზრდობის ცენტრის საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია | 3021 |
| 2 | 06 01 06 | ბრძანება ბ76. 76241018 თარიღი:10/04/2024 | „ამბულატორიულ-მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ქვეპროგრამა" სამედიცინო კვლევის დასაფინანსებლად | 564 |
| 3 | 06 01 06 | სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელის წერილი N:02-762411452 თარიღი 23.04.2024წ. | „ამბულატორიულ-მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ქვეპროგრამა" სამედიცინო კვლევის დასაფინანსებლად | 391 |
| 4 | 02 02 02 | ბრძანებაNბ76.76241667 14/06/2024წ | სოფელ სადმელში მდებარე მთავარი წყალსადენის დაზიანებული მაგისტრალის აღსადგენად | 10 498,43 |
| 5 | 01 01 02 | ბრძანებაNბ76.76242073. 25/07/2024წ | ქ. ამბროლაურში სკვერებსა და გაზონებში ხე-მცენარის შესაწამლი პრეპარატების შესასყიდად | 2000 |
| 6 | 02 02 02 | ბრძანებაNბ76.76242195. 06/08/2024წ | სოფ. ჟოშხასა და სოფ. გენდუშში წყალმომარაგების აღდგენის სამუშაოებისათვის | 8555 |
| 7 | 02 01 01 | ბრძანება:ბ76. 76242692 თარიღი:25/09/2024 | შ.პ.ს სერვისცენტრისთვის საბურავების შესაძენად | 10040 |
| 8 | 06 01 03 | ბრძანება:ბ76. 76243377 თარიღი:02/12/2024 | მოქალაქისთვის მედიკამენტ თვალის ინექცია "ვაზისმოს" დასაფინანსებლად | 354 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 9 | 02 01 01 | ბრძანება ბ76.624361001 26/12/2024წ. | მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვები შესაძენად შპს სერვის ცენტრისათვის | 4496 |
| **სულ** | | | | **39919,43** |

ადმინისტრაციული შენობის დაცვის მომსახურებამ შეადგინა 103 800 ლარი.

1. **ინფრასტრუქტურის განვითარება (ორგანიზაციული კოდი 02 00)**

საანგარიშო პერიოდში ინფრასტრუქტურის განვითარება სულ დაფინანსდა 16371,7 ათასი ლარით, რაც გეგმის (16806,3 ლარი) 97 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

| პროგრამული კოდი | პროგრამის დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|---|
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 16806,3 | 16371,7 | 97 |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | 7734,8 | 7702,6 | 100 |
| 02 01 01 | გზების მოვლა-შენახვა და მიმდინარე შეკეთება | 749,2 | 738,5 | 99 |
| 02 01 02 | გზების კაპიტალური შეკეთება | 6985,6 | 6964,1 | 100 |
| 02 02 | წყლის სისტემების განვითარება | 932,5 | 915,3 | 98 |
| 02 02 01 | წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 540,0 | 532,2 | 99 |
| 02 02 01 01 | წყლის სისტემის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯი | 89,0 | 88,9 | 100 |
| 02 02 01 02 | წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა | 451,0 | 443,3 | 98 |
| 02 02 02 | წყლის სისტემების რეაბილიტაცია | 392,5 | 383,1 | 98 |
| 02 03 | გარე განათება | 757,5 | 757,5 | 100 |
| 02 03 01 | გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია | 674,9 | 674,9 | 100 |
| 02 03 01 01 | გარე განათების ქსელი მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება | 383,6 | 383,5 | 100 |
| 02 03 01 02 | გარე განთების ქსელის მოვლა-პატრონობა | 291,3 | 291,3 | 100 |
| 02 03 02 | კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში | 82,6 | 82,6 | 100 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 02 04 | სტიქიის პრევენცია, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია | 3175,6 | 2926,1 | 92 |
| 02 05 | ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება | 8,7 | 8,7 | 100 |
| 02 06 | კეთილმოწყობის ღონისძიებები | 1895,0 | 1867,4 | 99 |
| 02 07 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 798,0 | 790,9 | 99 |
| 02 08 | სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა რეაბილიტაცია | 339,9 | 321,0 | 94 |
| 02 09 | რეგიონალური პროექტების პროექტირებისა და ტექინკური ზედამხედველობის დაფინანსება | 473,6 | 402,8 | 85 |
| 02 10 | სატრანსპორტო მომსახურება | 455,2 | 449,4 | 99 |
| 02 11 | სამოქალაქო ბიუჯეტირება | 235,4 | 230,1 | 98 |

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა, წყალმომარაგების ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები, გატარდა კეთილმოწყობის ღონისძიებები. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდა მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

## 1.1. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01)

2024 წლის განმავლობაში, ამბროლაურის ბიუჯეტიდან დაფინანსდა შემდეგი პროექტები:

- ✓ სოფელ ღვიარაში სასოფლო გზის რეაბილიტაციის პირველი რიგი - მოეწყო 0,9 კმ ასფალტო ბეტონის გზის საფარი;
- ✓ სოფელ ზნაკვაში სასოფლო გზის რეაბილიტაცია პირველი რიგი - მოეწყო 1,3 კმ ბეტონის საფარი;
- ✓ სოფელ ზედა ღვარდიის სასოფლო გზების რეაბილიტაცია პირველი რიგი - რაკონსტრუქცია ჩაუტარდა 0,9 კმ მონაკვეთს;
- ✓ სოფელ სადმელში სასოფლო გზის რეაბილიტაცია მესამე ეტაპი - პროექტის ფარგლებში მოეწყო 1,3 კმ ბეტონის საფარი.
- ✓ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კვაცხუთში ეკლესიასა და სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - მოეწყო 1,0 კმ ბეტონის საფარი; (პროექტი ორწლიანია)
- ✓ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსტანაში საელიოს სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - მოეწყო 0,86 კმ ბეტონის საფარი;
- ✓ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიმში ჭიჭინაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია - მოეწყო 1,62 კმ ბეტონის საფარი;
- ✓ სოფელ ბისტანაში მე-6 ქუჩის რეაბილიტაცია - მოეწყო 0,487 კმ ბეტონის საფარი;
- ✓ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე ტოლა სკოლის უბანის გზის რეაბილიტაცია - მოეწყო 0,755 კმ ბეტონის საფარი;

- ✓ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის საუბნო გზების რეაბილიტაცია - მოეწყო 1,100 კმ ბეტონის საფარი;
- ✓ ქ. ამბროლაურში ვაჟა-ფშაველას ქუჩის ჩიხის (მოედანთან მისასვლელი გზის) რეაბილიტაციის სამუშაოები - მოწყო 0,12 კმ ბეტონის საფარი;
- ✓ სოფ. ნიკორწმინდაში დოხნაძეების უბანში სასოფლო გზის ასფალტირების სამუშაოები მეორე რიგი - მოეწყო 0,390 კმ ასფალტო ბეტონის გზა;
- ✓ სოფელ თხმორის სასოფლო გზის მდ.შარეულასთან ქანობიანი მონაკვეთის რეაბილიტაციის სამუშაოები - მოეწყო 0,4 კმ ბეტონის საფარი;
- ✓ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ჭრებალოს წესიგორის დასახლების საუბნო გზების რეაბილიტაცია - მოეწყო 1,200 კმ ასფალტობეტონის საფარი;
- ✓ სოფლების: საკეცია-ჯვარისა-ქედისუბანი-ხონჭიორის დამაკავშირებელი სასოფლო გზის რეაბილიტაციის, სოფ.გორში და სოფ.ძირაგეულში საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები - მოეწყო 1,2 კმ ბეტონის საფარი; (პროექტი ორწლიანია);
- ✓ სოფ.დიდ ჩორჯოში სასოფლო გზის რეაბილიტაცია - განხორციელდა 0,9 კმ გზის მოწყობის მოსამზადებელი სამუშაოები.(პროექტი ორწლიანია)
- ✓ სოფელ აბარის ადგილობრივი დანიშნულების გზის რეაბილიტაცია პირველი რიგი - მოეწყო გზის დამცავი კედლები და გზის საფარის მოწყობის მოსამზადებელი სამუშაოები. (პროექტი ორწლიანია);
- ✓ ქ. ამბროლაურში თამარ მეფის ქუჩაზე ,,ქვანას'' წყაროს მიმდებარედ რკ/ბეტონის კედლების მოწყობისა და გზის რეაბილიტაციის სამუშაოები - მოეწყო რკ/ბეტონის კედლები.(პროექტი ორწლიანია)
- ✓ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ.იწაში შიდა გზების რეაბილიტაცია - მოეწყო 1 კმ ასფალტო ბეტონის გზის საფარი;
- ✓ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შხივანის სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები - მოეწყო გზის დამცავი კედლები(პროექტი ორწლიანია)
- ✓ სოფელ სადმელში საუბნო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები;
- ✓ სოფელ ჭრებალოში ალეკო სანთელაძის სახლთან გზის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ სოფელ კვირიკეწმინდაში გზის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ სოფელ წესში, ბარაკონის ეკლესიასთან მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ სოფელ ბოსტანაში ბეტონის საფარიანი გზის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ სოფელ ნიკორწმინდაში ქეთიაშვილების საუბნო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები;
- ✓ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გორში ზღუდარების (ბაგირი) მოწყობის სამუშაოები;
- ✓ სოფელ ბუგეულში პატარიძეების უბანში გაბიონის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ სოფელ წესში მელაშვილების სახლის მიმდებარედ ხიდ-ბოგირის მოწყობის სამუშაოები;

- ✓ სოფელ სადმელში ზვიადი მურუსიძის სახლთან რკინა ბეტონის კედლის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ სოფელ ხიმშში პეპელა ღელეზე გადასასვლელი ხიდ-ბოგირის მოწყობის სამუშაოები;

**საბოლოო შედეგი:** მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცვეთის შემცირება; ტურიზმის ხელშეწყობა; მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება; მუნიციპალიტეტის გზებზე უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება.

### 1.2. წყლის სისტემების განვითარება (პროგრამული კოდი 02 02 )

ქვეპროგრამის ფარგლებში ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიატორიაზე განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ➢ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდაში წყალმომარაგების სისტემის არსებული სატუმბი სადგურის რეაბილიტაცია;
- ➢ სოფ.ურავში წყლის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები;
- ➢ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. გორისუბნში ხრაკელების უბნის წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები;
- ➢ სოფელ ნიკორწმინდაში შავლაძეების უბნის წყალსადენის ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები;
- ➢ სოფელ ღვიარაში წყალმომარაგების შიდა ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები;
- ➢ სოფელ ღვიარაში წყალმომარაგების შიდა ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები(2);
- ➢ სოფელ თხმორში ჭოხონელიძეების და გეგელაშვილების უბნების წყალსადენის სისტემის მოწყობის სამუშაოები;
- ➢ სოფელ წესში წყალმომარაგების საუბნო ქსელის მოწყობის სამუშაოები;
- ➢ სოფელ ზემო ჟოშხის წყალსადენის სამარაგო აუზის შემოღობვის სამუშაოები;
- ➢ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზნაკვაში, ბაკურაძეების უბანში წყალმომარაგების მაგისტრალის შეცვლის სამუშაოები

**საბოლოო შედეგი:** მოსახლეობის უზრუნველყოფა წყლით.

### 1.3. ააიპ „მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრი“ (პროგრამული კოდი02 02 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის სოფლების წყლის სათავე-ნაგებობების, შიდა-საუბნო და ცენტრალური ქსელების რეაბილიტაცია. საანგარიშო პერიოდში დაწესებულების მიერ მოხდა 473 დაზიანების აღდგენა.

## 2. გარე განათება (პროგრამული კოდი 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქსელის მოვლა - პატრონობა და მოხმარებული ელ. ენერგიის ღირებულების დაფარვა.

მუნიციპალური ა(ა)იპ ახორციელებს მუნიციპალურ ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული ნათურებისა და ქსელის აღდგენა, შეკეთება განახლებას. 2024 წლის ბოლოსთვის სანათი წერტილების რაოდენობამ მუნიციაპლიტეტის ტერიტორიაზე 7100 ერთეული შეადგინა.

**საბოლოო შედეგი:**
ღამის საათებში ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა;

## 3. სტიქიის პრევენცია (პროგრამული კოდი 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები:

- ✓ სოფ. ჩორჯოში ონაშვილების უბნის მიმდებარედ მდ.რიონზე ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ სოფ. ხვანჭკარაში მდინარე რიონზე ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ ქ. ამბროლაურში აღმაშენებლისა და გოგებაშვილის ქუჩებზე საყრდენი კედლების მოწყობა;
- ✓ სოფელ ხვანჭკარაში ჭარბაძეების უბანში ნაპირსამაგრის მოწყობა;
- ✓ ქ. ამბროლაურში ჭიჭინაძის ქუჩაზე ნაპირსამაგრის მოწყობა;
- ✓ სოფელ ღვიარაში მდ. ღვიარულაზე ნაპირსამაგრის მოწყობა;
- ✓ სოფელ სადმელში ენუქიძეების უნაში სანიაღვრე არხის მოწყობა;
- ✓ ქ. ამბროლაურში ბრატისლავა რაჭის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობა;
- ✓ სოფელ წესში მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირის სარეგულაციო სამუშაოები;
- ✓ სოფელ ხოტევში მდინარე ხოტეურაზე ნაპირსამაგრის მოწყობა;
- ✓ სოფელ კლდისუბანში მდინარე რიონზე ნაპირსამაგრის მოწყობა;
- ✓ მდინარე კრიხულას ნაპირსამაგრის მოწყობა;
- ✓ სოფელ იწაში საუბნო გზის საყრდენი კედლის მოწყობა;
- ✓ ქ.ამბროლაურში ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი სახლის სახურავის რეაბილიტაცია;
- ✓ ამბროლაური- ხიმშის გზის ნაპირსამაგრის მოწყობა;
- ✓ მდინარე რიცეულაზე ნაპირსამაგრის მოწყობა;
- ✓ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ,,სოფ. ჭყვიში ყოფილი ადმინისტრაციული შენობის დემონტაჟის სამუშაოები";

**საბოლოო შედეგი:** შექმნილი უსაფრთხო გარემო.

## 4. კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 06)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ✓ ქ.ამბროლაურში მდ.კრიხულას სანაპიროზე სოციალურ-კულტურული და კულტურული როლის გაზრდის მიზნით მრავალფუნქციური ცენტრის მშენებლობა;

- ✓ ქ.ამბროლაურში დავით აღმაშენებლისა და კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩებზე ღობეების მოწყობის სამუშაოები;
- ✓ სოფ.წესთან ზარაკონის ეკლესიის მიმდებარედ ქვაფენილის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ ქ.ამბროლაურში გოგებაშვილის ქუჩაზე ღობეების მოწყობა;
- ✓ ქ.ამბროლაურში მახალდიანისა და ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის დამაკავშირებელი კიბეების მოწყობა (პროექტი მიმდინარეა);
- ✓ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სხარტალში ფანჩატურის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ სოფელ კვაცხუთში ფანჩატურის გადატანის სამუშაოები;
- ✓ სოფელ გორში ფანჩატურის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ლიხეთში ადმინისტრაციული შენობის სარებილიტაციო სამუშაოები;
- ✓ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ძირაგეულში და სოფელ ქვედა თლუღში ხის ფანჩატურების მოწყობის სამუშაოები;
- ✓ სოფელ ნიკორწმინდაში ადმინისტრაციულ შენობასთან საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ ქალაქ ამბროლაურში გოგებაშვილის ქუჩაზე ღობეების მოწყობის სამუშაოები;
- ✓ ქალაქ ამბროლაურში, მოსწავლე ახალგაზრდული ცენტრის შენობის მეორე სართულის გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოები;

**საბოლოო შედეგი:** კომფორტული და ჯანსაღი გარემო მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისა და სტუმრებისათვის.

## 5. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 02 07)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სოფლის მოსახლეობის საჭიროებისამებრ მოთხოვნილი სამუშაოები: 10 სოფელში მოწესრიგდა გარე განათება; 3 სოფელში - სპორტული ინფრასტრუქტურა; 5 სოფელში - სასაფლაოს შემოღობვა; 22 სოფელში მოწესრიგდა საუბნო გზა; 17 სოფელში - წყლის სისტემის რეაბილიტაცია; 2 სოფელში მოეწყო სკვერი; 7 სოფელში - სანაიღვრე არხი; 1 სოფელში - ხიდის რეაბილიტაცია; 1 სოფელში - მოსაცდელი;

## 6. სანიაღვრე არხების, სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ✓ ქ.ამბროლაურში, ჭავჭავაძის ქუჩაზე, სოფ.იღაში და სოფ. კრიხში მაღაზიასთან სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები (სამუშაოების ნაწილი განხორციელდება 2025 წელს);
- ✓ ქ.ამბროლაურში თამარ მეფის და აღმაშენებლის ქუჩებზე კანალიზაციის ქსელისა და სანიაღვრე არხის მოწყობის და სოფელ კვაცხუთში ე.წ ,,მეწყერას დასახლებაში'' კანალიზაციის ქსელის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ ქ.ამბროლაურში ბარათაშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხისა და გზის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ ქ. ამბროლაურში გამსახურდიას ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ ქ. ამბროლაურში, აღმაშენებლის ქუჩაზე, II ჩიხში და ბარათაშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები;
- ✓ ქ. ამბროლაურში ავტოსადგურის ტერიტორიაზე საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები;

**საბოლოო შედეგი:** საკანალიზაციო-სანიაღვრე სისტემის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა; გზების და სხვა ინფრასტრუქტურის ესპლუატაციის ხანგრძლივობის გაზრდა.

7. **რეგიონალური პროექტების პროექტირებისა და ტექნიკური ზედამხედველობის დაფინანსება (პროგრამული კოდი 02 09)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ასევე ფინანსდება 50 000 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.

**საბოლოო შედეგი:** შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი.

## 2. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 1397,6 ათასი ლარით, რაც გეგმის (1398,4 ლარი) 100 პროცენტია. გამოყოფილი სახსრებიდან 1246,9 ათასი ლარი მოხმარდა მუნიციპალიტეტის დასუფთავებას და ნარჩენების გატანას; მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა და განვითარება დაფინანსდა 121,2 ლარით.

| პროგრამული კოდი | პროგრამის დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|---|
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 1398,4 | 1397,6 | 100 |
| 03 01 | დასუფთავება და ნარჩენების გატანა | 1247,3 | 1246,9 | 100 |
| 03 02 | მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება | 121,2 | 121,2 | 100 |
| 03 03 | კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში | 20,0 | 19,7 | 98 |
| 03 04 | უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები | 9,9 | 9,9 | 100 |

მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან და მუნიციპალიტეტის სოფლებიდან განხორციელდა საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა; ყოველდღიურად იგვებოდა ქალაქის ქუჩები. განხორციელდა ქალაქისა და მუნიციპალურ ტერიტორიაზე არსებული სკვერების, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, ქ. ამბროლაურის ტერიტორიაზე ყოველდღიურად ხდებოდა ქუჩების დაგვა-დასუფთავება და ხდებოდა შესაბამისი სპეც. ავტოსატრანსპორტო საშუალებებით გატანა.

## 3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

საგანმანათლებლო ღონისძიებები 2024 წლის განმავლობაში დაფინანსდა 2326,9 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის 2341,2 ათასი ლარის, 99 პროცენტია. აღნიშნული თანხებიდან სკოლამდელი დაწესებულების ხელშეწყობაზე მიმართული იქნა 1699,1 ათასი ლარი, საჯარო სკოლების დაფინანსებას (დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში) მოხმარდა 339,2 ათასი ლარი, ა(ა)იპ ამბროლაურის მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი დაფინანსდა 236,5 ათასი ლარით, განთლების ღონისძიებები 52,2 ათასი ლარით.

| პროგრამული კოდი | პროგრამის დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|---|
| 04 00 | განათლება | 2341,2 | 2326,9 | 99 |
| 04 01 | სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა | 1707,2 | 1699,1 | 100 |
| 04 03 | განათლების ღონისძიებები | 55,1 | 52,2 | 94 |
| 04 04 | ა(ა)ი.პ ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი | 238,0 | 236,5 | 99 |
| 04 05 | საჯარო სკოლების ხელშეწყობა | 340,6 | 339,2 | 100 |

### სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 13 საბავშვო ბაღი; ამბროლაურის საბავშვო ბაღშია 6 ასაკობრივი და ერთი შერეული ჯგუფი; სოფელ ჭრებალოს საბავშვო ბაღში ფუნქციონირებს ორი შერეული ჯგუფი, დანარჩენი საბავშვო ბაღები დაკომპლექტებულია შერეული ჯგუფებით, სადაც სწავლება მიმდინარეობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით მომზადებული 2-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვის განვითარების სტანდარტებზე დაყრდნობით შემუშავებული სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამით. საბავშვო ბაღებში 2024 წელს დარეგისტრირებული იყო 303 აღსაზრდელი.

**საბოლოო შედეგი:**
სკოლის ასაკს მიღწეული ბავშვების მზაობა საშუალო განათლების მიღებისათვის.

### განათლების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- შეძენილი იქნა ა(ა)იპ „ამბროლაურის კულტურის ცენტრს" გადაეცა სხვადასხვა დასახელების საერთაშორისო ლიტერატურის 40 ეგზემპლარი და პოეტ ზ. ჯაფარიძის წიგნის - „ჩუქურთმამოსილი" 95 ეგზემპლარი;

- საგანმანათლებლო პორტალ „izrune.ge" და პროექტ ეტალონის მომსახურების შესყიდვა;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პირველი კურსის სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსება (9 სტუდენტი);
- 6 (ექვსი) სოციალურად დაუცველ, წარჩინებულ მოსწავლეს, გადაეცა პორტატული კომპიუტერი;
- საჯარო სკოლების ოქროსა (7 მოსწავლე) და ვერცხლის (2 მოსწავლე) მედალოსნებისთვის ფულადი ჯილდოების გადაცემა;
- ამბროლაურის საჯარო სკოლის კურსდამთავრებული 100% სახელმწიფო სასწავლო გრანტის მომპოვებლის ფულადი წახალისება (1 ჯილდო);
- ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეთა საზაფხულო ბანაკის პროგრამა;
- ლიტერატურული პროექტის „მწიგნობარის" თანაორგანიზება;
- მასწავლებლის დღის ღონისძიების ფარგლებში სასაჩუქრე წიგნების შესყიდვა (264 ეგზემპლარი);

**საბოლოო შედეგი:** მოზარდთა ამაღლებული შემოქმედებითი - საგანმანათლებლო დონე.

### ა(ა)ი.პ ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი (პროგრამული კოდი 04 04)

2024 წლის მონაცემებით ცენტრში შესაბამის განათლებას იღებს 82 მოსწავლე.
დაწესებულებაში ფუნქციონირებს შემდეგი წრეები:

- ✓ ზოგადი უნარების წრე;
- ✓ მათემატიკის წრე;
- ✓ ინგლისურის ენის წრე;
- ✓ გერმანული ენის წრე;
- ✓ რუსული ენის წრე;
- ✓ გახანგრძლივებული დღის ჯგუფი.

ა(ა)იპმა წარმატებით განახორციელა შემდეგი კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებები:

- ✓ მოაზროვნე;
- ✓ ვკითხულობთ თანამედროვე მწერლობას (გიორგი არაბულის შემოქმედებით საღამო „სიმართლეს ზეცაზე გავაფენ");
- ✓ ძველი დიდების ნაკვალევზე (პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა იმოგზაურეს თურქეთში);
- ✓ რა სამშობლო მქონია (პროექტის ფარგლებში იმოგზაურეს ქვემო ქართლსა და სვანეთში, სადაც მოინახულეს ისტორიული ადგილები);
- ✓ გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურული საღამო;
- ✓ 9 აპრილისა და 14 აპრილის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
- ✓ ბავშთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- ✓ საახლწლო ღონისძიება;

**საბოლოო შედეგი:** მოზარდთა ინტელექტუალური და შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოვლენისათვის შექმნილი შესაბამისი გარემო.

**საჯარო სკოლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 05)**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა მოსწავლეთა ტრანსპორტირება.

**საბოლოო შედეგი:** განათლების ხელშეწყობა;

## კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

სპორტულ, ახალგაზრდულ და კულტურულ ღონისძიებებზე გაწეული იქნა 4067,6 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4144,0 ათასი ლარისა, ანუ გეგმის 98 პროცენტი. აღნიშნული სახსრებიდან სპორტის განვითარებას მოხმარდა 1627,2 ათასი ლარი, კულტურის განვითარებას 2409,9 ათასი ლარი, ახალგაზრდობის მხარდაჭერა 30,6 ლარი;

| პროგრამული კოდი | პროგრამის დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|---|
| 05 00 | კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი | 4144,0 | 4067,6 | 98 |
| 05 01 | სპორტის სფეროს განვითარება | 1665,5 | 1627,2 | 98 |
| 05 01 01 | სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა | 1255,1 | 1226,3 | 98 |
| 05 01 01 01 | ა(ა)იპ ამბროლაურის სასპორტო სკოლა | 456,3 | 455,9 | 100 |
| 05 01 01 02 | ა(ა)იპ ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი ფალავანი | 293,1 | 270,7 | 92 |
| 05 01 01 03 | ა(ა)იპ ამბროლაურის საცურაო აუზი | 190,3 | 190,2 | 100 |
| 05 01 01 04 | ა(ა)იპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი რაჭა | 240,4 | 234,6 | 98 |
| 05 01 01 05 | ა(ა)იპ იურიდიული პირი რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბი ,,ამარანტები“ | 75,0 | 75,0 | 100 |
| 05 01 02 | კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში | 410,4 | 400,8 | 98 |
| 05 02 | კულტურის სფეროს განვითარება | 2442,4 | 2409,9 | 99 |
| 05 02 01 | კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა | 1345,1 | 1324,0 | 98 |
| 05 02 01 01 | ა(ა)იპ ამბროლაურის კულტურის ცენტრი | 943,2 | 942,1 | 100 |
| 05 02 01 02 | ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება დავით თორაძის სახელობის ხელოვნების სკოლა | 203,5 | 197,1 | 97 |
| 05 02 01 03 | ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო სააღმზრდელო დაწესებულება ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა | 104,5 | 99,3 | 95 |
| 05 02 01 04 | ა(ა)იპ ამბროლაურის სახვითი ხელოვნებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი | 93,9 | 85,5 | 91 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 05 02 02 | კულტურის ღონისძიებები | 108,4 | 104,1 | 96 |
| 05 02 03 | კაპიტალური დაბანდებები კულტურის სფეროში | 722,5 | 722,4 | 100 |
| 05 02 04 | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა | 50,0 | 50,0 | 100 |
| 05 02 05 | გაზეთის მომსახურების დაფინანსება | 10,0 | 10,0 | 100 |
| 05 02 06 | ა(ა)იპ ტურისტული ცენტრი | 206,4 | 199,3 | 97 |
| 05 03 | ახალგაზრდობის მხარდაჭერა | 36,0 | 30,6 | 85 |

**სპორტის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 01)**

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი შემდეგი სპორტული სკოლები, ესენია:

**ა(ა)იპ „ამბროლაურის სასპორტო სკოლა“ (პროგრამული კოდი 05 01 01 01)**

სკოლაში ფუნქციონირებს 6 სპორტული წრე, ესენია: კალათბურთი (40 მოსწავლე), ფრენბურთი (30 მოსწავლე), ჭადრაკი (45 მოსწავლე), კარატე (40 მოსწავლე), მაგიდის ჩოგბურთი (30 მოსწავლე), ჩოხინი ჭიდაობა (12 მოსწავლე), მშვილდოსნობა (8 მოსწავლე). სულ აღნიშნულ სპორტულ სახეობებს ეუფლება 200 მოსწავლე. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებეში და ტურნირებში.

სპორტის სახეების მიხედვით მუშაობა მიმდინარეობს, როგორც ამბროლაურში I-II სკოლის და სასპორტო სკოლის ბაზაზე, აგრეთვე სხვადასხვა სოფლებში, ნიკორწმინდაში არის ჭადრაკის და მაგიდის ჩოგბურთის სექციები, სადმელში მაგიდის ჩოგბურთი, ჭრებალოში მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკის და მშვილდოსნობის სექციები.

ქ. ხაშურში ჩატარებულ „გიორგი მახარაშვილის სახელობის ტურნირი კალათბურთში“; სკოლის ვაჟთა ნაკრებმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა და გუნდური მესამე ადგილი მოიპოვეს.

ტარიელ და კობა კობახიძეების ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავა სასპორტო სკოლის მოსწავლეებმა კალათბურთში, სადაც მონაწილეობდა საქართველოს 7 გუნდი ვაჟთა შორის.

პირველი ადგილი დაიკავა სასპორტო სკოლის საკალათბურთო გუნდმა გაგა ნამგალაძის სახელობის ტურნირზე 8 გუნდს შორის;

ქ. ქობულეთში ჩატარებულ ღია პირველობაზე ფრენბურთში გოგონათა შორის სპორტ სკოლის გუნდმა დაიკავა პირველი ადგილი.

ქ. ქუთაისში გამართულ საკვალიფიკაციო ტურნირზე და იმეერეთის ღია პირველობაზე ჭადრაკში სასპორტო სკოლის მოსწავლეებმა მოიპოვეს 2 ვერცხლი და 2 ბრინჯაოს მედალი.

ქ. ტყიბულის ღია პირველობაზე 8 წლის გოგონათა შორის (სწრაფ ჭადრაკში) სასპორტო სკოლის მოსწავლემ დაიკავა პირველი ადგილი, რომელმაც ასევე იასპარეზა მაია ჩიბურდანიძის სახელობის თასზეც და მოიპოვა მესამე ადგილი.

რეგიონის ღია პირველობაზე ჭადრაკში 6 პირველი, 6 მეორე და 7 მესამე ადგილი მოიპოვა სპორტ სკოლის მოსწავლეებმა;

მეცხრედ ჩატარდა საჭადრაკო ფესტივალი „რაჭა 2024“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 150 მონაწილემ. ტურნირზე სასპორტო სკოლის აღსაზრდელებს ჰქონდათ გარკვეული წარმატებები -16 წლამდე გოგონათა შორის მეორე ადგილი, ხოლო 10 წლამდე გოგონათა შორის მესამე ადგილი მოიპოვეს.

საანგარიშო პერიოდში მაგიდის ჩოგბურთის გუნდს ჰქონდა გასვლითი ღონისძიება ქ. თბილისში აფხაზეთის ღია პირველობაზე, ქ. თბილისში თორნიკე ღოღობერიძის თასის გათამაშებაზე“ ქ. ბათუმში „კარლო გუგუშვილი“-ს სახელობის ტურნირზე, ქ. ბათუმში სალხოინის სახელობის ტურნირზე, სულ მოპოვებულია 4 პირველი ადგილი; 6 მეორე ადგილი და 4 მესამე ადგილი.

ქ. თბილისში ჩატარებულ ევრაზიის თასის გათამაშებაში „კუნგფუ“ სპორტ სკოლის მოსწავლეებმა მოიპოვეს 9 პირველი ადგილი, 6 მეორე ადგილი და გუნდმა დაიკავა გუნდური პირველი ადგილი; ქ. თბილისში ,,საქართველოს ჩემპიონატი კუდოში 2024“ 3 პირველი ადგილი, 1 მეორე ადგილი და 4 მესამე ადგილი.

ქ. რომში გამართულ ევროპის კუდოს ჩემპიონატზე 2024 წლის ევროპის ჩემპიონი გახდა ორი სპორტსმენი.

მალტაში ჩატარებულ ახალგაზრდულ ევროპის პირველობაზე სასპორტო სკოლის მოსწავლემ მოიპოვა მესამე საპრიზო ადგილი, ხოლო ქ. ერევანში გამართულ ევროპის თასზე მოიპოვა ორი მეორე ადგილი; ქ.თბილისში ჩატარებულ კუნგ-ფუს საქართველოს თასზე მოპოვებულია 6 ოქრო, 1 ვერცხლი და 2 ბრინჯაოს მედალი

ჩოხიან ჭიდაობაში სასპორტო სკოლის მოჭიდავემ ქ.ქუთაისში ჩატარებულ მსოფლიოს თასზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

**ა(ა)იპ „ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი „ფალავანი“(პროგრამული კოდი 05 01 01 02)**

ჭიდაობის კლუბ “ფალავანში” ფუნქციონირებს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფი (უმცროსი ჭაბუკები, ჭაბუკები, ახალგაზრდები და დიდები). ჯამში კლუბში ვარჯიშობს 65 მოჭიდავე. კლუბში ვარჯიშები მიმდინარეობს ყოველდღიურად კვირა დღის გარდა. კლუბის აღსაზრდელები წარმატებით მონაწილეობენ საქართველოს ჩემპიონატებში, სხვადასხვა რეგონალურ და საერთაშორისო ტურნირებში.

- ✓ ქალაქ ბათუმში ჩატარებულ საქართველოს ჩემპიონატში თავისუფალ ჭიდაობაში დიდებს შორის, 10 წონითი კატეგორიიდან ა(ა)იპ ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი ,,ფალავანი“-ს სპორტსმენებმა დაიკავეს სამი პირველი და ერთი მეორე ადგილი:

1. 70 კგ წონით კატეგორიაში II- ადგილი
2. 74 კგ წონით კატეგორიაში I- ადგილი
3. 79 კგ წონით კატეგორიაში I- ადგილი
4. 86 კგ წონით კატეგორიაში I- ადგილი

ოთხივე სპორტსმენი ჩაირიცხა 2024 წლის საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში.

- ✓ საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში გახდნენ:

საქართველოს უმცროსი ჭაბუკების ეროვნული ნაკრები: U-15

62 კგ წონით კატეგორიაში I ადგილი;

საქრთველოს ახალგაზრდების ეროვნული ნაკრები: U- 20

1. 65 კგ წონით კატეგორიაში - II ადგილი;
2. 70 კგ წონით კატეგორიაში - II ადგილი;
3. 74 კგ წონით კატეგორიაში - I ადგილი;
4. 74 კგ წონით კატეგორიაში- III ადგილი;

5. 79 კგ წონით კატეგორიაში -II ადგილი;
6. 86 კგ წონით კატეგორიაში - III ადგილი;

საქრთველოს 23 წლამდე ახალგაზრდების
ეროვნული ნაკრები: საგაზაფხულო ჩემპიონატი U—23
1. 65 კგ წონით კატეგორიაში- III ადგილი;
2. 70 კგ წონით კატეგორიაში- III ადგილი;
3. 74 კგ წონით კატეგორიაში- III ადგილი;
4. 79 კგ წონით კატეგორიაში- III ადგილი;
5. 97 კგ წონით კატეგორიაში- III ადგილი;

საქრთველოს 23 წლამდე ახალგაზრდების ეროვნული ნაკრები:
საშემოდგომო ჩემპიონატი U-23
1. 65 კგ წონით კატეგორიაში- III- ადგილი;
2. 70 კგ წონით კატეგორიაში - II- ადგილი;
3. 74 კგ წონით კატეგორიაში -III- ადგილი;
4. 79 კგ წონით კატეგორიაში - I ადგილი;

საქართველოს ნაკრები გოგონები U-23
65 კგ წონით კატეგორიაში- III ადგილი

2024 წელში ასევე წარმატებით იასპარეზეს ა(ა)იპ ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი ,,ფალავანი“-ს სპორცმენებმა:

1. 86 კგ წონით კატეგორიაში-„ფალავანის“ მოჭიდავემ მოიპოვა ოლიმპიური თამაშების ლიცენზია და მონაწილეობა მიიღო ოლიმპიადაზე ქალაქ პარიზში;
2. ქალაქი ბელგრადი ( სერბეთი) ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის U-20 74 კგ წონით კატეგორიაში II ადგილი;
3. ქალაქი ტირანა (ალბანეთი) მსოფლიო ჩემპიონატი დიდები: 79 კგ წონით კატეგორიაში - I ადგილი;

2024 წელში ჭიდაობის კლუბი ,,ფალავანი“-ს უმცროსი ასაკის აღსაზრდელებმა მიიღეს მონაწილეობა 12 სხვადსხვა რანგის ტურნირებზე. ამ ტურნირებში მოპოვებულია 35 მედალი, აქედან პირველი ადგილი 14 მედალი, მეორე ადგილი 10 მედალი და მესამე ადგილი 11 მედალი.

## ა(ა)იპ „ამბროლაურის საცურაო აუზი“ (პროგრამული კოდი 05 01 01 03)

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საცურაო აუზში განხორციელდა სანიტარული და მცირე სარემონტო სამუშაოები; მოხდა აუზის წყლის დაცლა-ავსება, გაწმენდა, გათბობა და დამუშავება წყლის საწმენდი პრეპარატებით; აუზი მოემსახურა 210 მოსწავლეს, 28 ერთჯერად შემომსვლელს და 20 კალათბურთელს (ერთჯერადი), 429 მოქალაქემ ისარგებლა გარე აუზით. მასაჟით მომსახურება გაეწია 1- მომხმარებელს.

### ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „რაჭა“ (პროგრამული კოდი 05 01 01 04)

საანგარიშო პერიოდში დაიწყო სხვადასხვა ასაკობრივი გუნდების საწვრთნელი პროცესები, შეირჩა ჩემპიონატში გამსვლელი ასაკობრივი გუნდები, დაკომპლექტდა ასაკობრივი ნაკრებები. მომარაგდა კლუბი ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან მიღებული გრანტის შედეგად შეძენილი სხვადასხვა ინვენტარით, აქტიურად მიმდინარეობდა ამბროლაურში და სოფელ ჭრებალოში საწვრთნელი პროცესები, გაზრდილია ბავშვთა რაოდენობა. საანგარიშო პერიოდში საფეხბურთო კლუბის ბაზაზე 150 - მდე ბავშვი ვარჯიშობდა რაც კლუბის ისტორიაში სარეკორდო მაჩვენებელია. კლუბს ყავს 4 გამსვლელი გუნდი რომლებიც მონაწილეობენ იმერეთის და რაჭა- ლეჩხუმ ქვემო სვანეთის ფეხბურთის ფედერაციების ორგანიზებულ ტურნირებში. ვარჯიშები განაახლა დინამოს აკადემიის მემორანდუმის ფარგლებში მომუშავე ასაკობრივმა გუნდმა, რომელიც აკადემიის პროგრამით გადის საწვრთნელ ვარჯიშებს. ივლისის თვეში კლუბმა უმასპინძლა სხვადასხვა საფეხბურთო კლუბების შეკრებებს ტყიბულის ,,მეშახტე“თბილისის ,,სპაერი“ქუთაისის ,,მართვე“, რომლებმაც აღნიშნული შეკრება გაიარეს კლუბი „რაჭას“ მოედნებზე. რაც კლუბისთვის ფინანსურად მომგებიანი აღმოჩნდა. 2024 წლის განმავლობაში 17, 15,14 და 12 წლამდე ასაკობრივ გუნდებს ჩატარებული აქვთ 52 კალენდარული მატჩი. ხოლო 15 წლამდელი გუნდები სატურნირო ცხრილის მიხედვით გავიდა მე-3-ე საპრიზო ადგილზე.

### ა(ა)იპ რაჭა–ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბი „ამარანტები“ (პროგრამული კოდი 05 01 01 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბი ამარანტები. გამოყოფილი თანხა ხმარდება რეგიონში ბავშვთა რაგბის განვითარებას. კლუბის მიერ ათვისებულია 4 რაიონული ცენტრი:

ამბროლაური - 80 ბავშვი;

ონი - 30 ბავშვი;

ლენტეხი - 80 ბავშვი;

ცაგერი - 80 ბავშვი;

საანგარიშო პერიოდში სარაგბო კლუბ ამარანტებს ჰქონდა გასვლითი 18 ღონისძიება და ასევე საკუთარი ორგანიზებით ჩაატარა ფესტივალი. 2024 წელს რეგიონში ჩამოყალიბდა საფესტივალო რაგბის სამი ლოკაცია, რის საფუძველზეც რაჭა - ლეჩხუმის და ქვემო სვანეთი სარაგბო ფესტივალებზე ინდივიდუალური გუნდებით („რაჭველები“,“დათვები“,“ცეკური“) იასპარეზებენ, ყველა საფესტივალო ასაკობრივ ღონისძიებებზე.

U9 – 12 თამაში (3 გუნდი: „რაჭველები“,“ცეკური“,“დათვები“)

U11 – 12 თამაში (3 გუნდი: „რაჭველები“,“ცეკური“,“დათვები“)

U13 – 12 თამაში (3 გუნდი: „რაჭველები“,“ცეკური“,“დათვები

2024 წელს შეიქმნა რეგიონალური 15 წლამდე მოზარდთა გუნდი „ამარანტები“ რომელიც იასპარეზებს ს.რ.კ.-ს დასავლეთ საქართველოს სარაგბო ფესტივალებში.

თამაშები: U15 – 12 +5(12 სრკ ფესტივალი, 5 სხვა ფესტივალი და ტურნირი) “ბ”ლიგა

ასევე ჩამყალიბდა რეგიონალური ჭაბუკთა „ბ“ ლიგის გუნდი, რომელიც 2024 -2025 წწ. სეზონის ს.რ.კ.-ს ეგიდით ორგანიზებულ ყოველწლიურ ჭაბუკთა „ბ“ ლიგის საქართველოს

ჩემპიონატში იასპარეზებს "ამარანტები"-ს სახელით. ოქტომბერში ჩაატარეს 4 თამაში. ნოემბერში 4 თამაში და დეკემბერში 3 თამაში. აქედან 4 საშინაო თამაში იყო 7 გასვლითი.

### კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში (პროგრამული კოდი 05 01 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ✓ სოფ. პირველ ტოლაში, სოფ.ხვანჭკარაში და ქ.ამბროლაურში ბრატისლავა-რაჭის ქუჩაზე სტადიონების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ✓ სოფ.ჭრებალოში ბუნებრივსაფარიანი სტადიონის მეორე რიგის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ✓ ქ. ამბროლაურში საჭიდაო დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ✓ „სოფელ ლიხეთში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები";
- ✓ სოფელ ბოსტანაში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობა და სოფელ ჩორჯოში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობა;
- ✓ „სოფელ აბანოეთში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები".
- ✓ ქ. ამბროლაურში რუსთაველის ქუჩაზე სპორტული დარბაზის რეაბილიტაციის სამუშაოები;
- ✓ ქალაქ ამბროლაურის გამსახურდიას, კოსტავას და გურგენიძის ქუჩებზე ხელოვნურსაფარიანი მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაციის სამუშაოები.
- ✓ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აბანოეთსა და სოფელ ბაჯში ხელოვნურსაფარიანი მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაციის სამუშაოები.

### კულტურის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი შემდეგი ა(ა)იპ-ები:

- ➢ **ა(ა)იპ „ამბროლაურის კულტურის ცენტრი" (პროგრამული კოდი 05 02 01 01)**

საანგარიშო პერიოდში დაწესებულებამ განახორციელა და მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ღონისძიებებსა და აქტივობებში:

კონცერტი - ,,მინდა გიმღერო“;
საბავშვო თეატრის გასტროლი ქ. თბილისში მოზარდ-მაყურებელთა თეატრში, სპექტაკლით ,,სხვისი ორმოს მთხრელმა, თავისი მოთხარაო“
ანსამბლ "იავნანას" კონცერტი;
ანსამბლ ,,საგალობლის“ საანგარიშო კონცერტი;
ანსამბლ ,,საგალობლის“ სოლო კონცერტი ფოლკლორის ცენტრში;
თოჯინების თეატრის სპექტაკლის პრემიერა - ,,მელაკუდას თავგადასავალი“;
ბენდი „ART NEW LIFE”-ს სოლო კონცერტი;
კულტურის ცნტრის შემოქმედებითმა ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო დამოუკიდებლობის დღისადმი მიძრვნილ ღონისძიებაში;
საბავშვო თეატრის გასტროლი ცაგერში -,,სხვისი ორმოს მთხრელმა, თავისი მოთხარაო“;
მოსწავლეთა თეატრი - სპექტაკლის პრემიერა „სათაგური“ და გასტროლი ონში - სათაგური“;
თეატრალური დასის სპექტაკლის პრემიერა „ბუტიაობა“;
თეატრალური დასის გასტროლი თელავში - სპექტაკლი „ბუტიაობა“;
ანსამბლ „საგალობლის“ კონცერტი საფრანგეთში;
ანსამბლ „საგალობლის“ კონცერტი მესტიაში;
ზამალი არველაძის და ანსამბლ,,რაშოვდას“ ვარსკვლავის გახსნა.
ქალთა ანსამბლ ,,იავნანას“ და ,,საგალობელის“ მონაწილეობა ონელობის დღესასწაულზე.
ქალთა ანსამბლის მონაწილეობა თბილისობაზე.
სპექტაკლის პრემიერა ჰაროლდ პინტერის ,,ძველი დროება“. სამი ჩვენება.
სპექტაკლის პრემიერა - ,,მუნწი“. ჩვენება - ონის მუნიციპალიტეტში და სოფ. ჭრებალოში.
საახალწლო კონცერტი.

საბიბლიოთეკო სამსახური საანაგრიშო პერიოდში მოემსახურა 3000 მკითხველს, გაიცა 20500 ცალი წიგნი; გასცა წერილობითი და ზეპირი ცნობები: გურამ დოჩანაშვილის ცხოვრება და შემოქმედება; საქართველოს ღირსეული მამულიშვილები - ქაქუცა ჩოლოყაშვილი; მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატები; ძველი თბილისის არქიტექტურა; უცხოური ლიტერატურა ქართულ თარგმანებში; მსოფლიოს უდიდესი ბიბლიოთეკები; ქართული ანბანის წარმოშობა.
საბიბლიოთეკო სამსახურმა მოაწყო პოეტ ზურაბ ჯაფარიძის ხსოვნის საღამო; წიგნის კითხვის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; ჰაგიოგრაფია და მისი სწავლების მნიშვნელობა სკოლაში; პოეზიის საღამო ,,დაუკარით რომ ჭაბუკნი ვიყოთ მარად რომ ცხოვრებამ ვერასოდეს დაგვაბეროს“; მოეწყო წიგნის პრეზენტაცია ,,ჩემი კრიალოსანი“; გურამ ფანჯიკიძის 91 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება; საბიბლიოტეკო კვირეულის გახსნა; მოეწყო ახალი წიგნების პრეზენტაცია; სასოფლო ბიბლიოთეკებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: ,,მუხრანი და საქართველო (პატარა ონი და ღადიშის სასოფლო ბიბლიოთეკა);
,,ეს დღე ჩემია“ (ჟოშხის ბიბლიოთეკა); ,,სოფელო ჩემო სოფელო“ (ველევის სასოფლო ბიბლიოთეკა); ,,ენა, მამული, სარწმუნოება“ (ხვანჭკარა, პირველი და მეორე ტოლის სასოფლო ბიბლიოთეკები); ,,20 საუკუნის პოეზია 21-ე საუკუნის ბავშვებში“ (აბანოეთის, ბუგეულის, სადმელის, ჩორჯოს სასოფლო ბიბლიოთეკები); ,,ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“ (წესისა და ხიდიკრის სასოფლო ბიბლიოთეკები); ,,ლუხუნის ხეობის ადათწესები და წარმოშობა“ (ლიხეთის და აბარის სასოფლო ბიბლიოთეკები); ,,გიყვარდეთ კაცნო ერთმანეთი“ (ყვიშის, ქვიშარის, ჭრებალოს სასოფლო ბიბლიოთეკები); შეხვედრა აკადემიკოს ჯემალ კაციტაძესთან და მისი წიგნის ,,ჩემი ხოტევი და ზიგზაგური გზა სოფლის ბიჭიდან აკადემიკოსობამდე“ პრეზენტაცია.
პოეტ-აკადემიკოს სოსო ბერიძის წიგნის პრეზენტაცია ,,ჟამი განსჯისა“;.
გოგი მაისურაძის წიგნის პრეზენტაცია ,,დაშრეტილი ფშა“;
ლიტერატურული კონკურსი ,,მწიგნობარი 2024“;

საბავშვო ბიბლიოთეკაში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:
,,მშვიდობა და სიყვარული მზის კოცონად ენთოს მარად“
,,წიგნი თავისუფლებაა, კითხვა კი ბედნიერება“
,,დედის თვალებში მზე არის“;
,,პაწია წიგნი ბედ-იღბლით კიდობანს გამოემგვანა“.
,,დედა ენა - ამ წიგნშია ნატვრისთვალი საპოვნელი“.

„ციხე-ტაძრები ცად ასულან ლოცვად, ვედრებად“.
„მინდა გაიზარდოთ ყველა სასახელო, ჩემო პატარებო, ჩემო ლამაზებო“;
„მწერლების მწერალი“ - ჯემალ ქარჩხაძე;
,,გიყვარდეს წიგნი, ძვირფასი განძი“.
მწიგნობარი2024წელი.
27 ო ქტომბერი სკოლის ბიბლიოთეკის საერთაშორისო დ ღ ე.
ბიბლიოთეკა, ესაა ადამიანის ყველა სულიერი სიმდიდრის საგანძური.
ამერიკის საელჩოს კითხვაში გამოწვევის საზაფხულო პროგრამა. სერთიფიკატების გადაცემა.
შემოქმედებითი საღამო - ნათია ბუაძე
საახალწლო ღონისძიება ,,ახალი წელია...თოვლიც გვესალმება ციდან“.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების (103 ძეგლი, აქედან 7 ეროვნული მნიშვნელობის) მოვლა-პატრონობის ფარგლებში, ფიქსაცია-აღრიცხვის მიზნით მიმდინარე წელს მოეწყო გასვლები სხვადასვა სოფლებში:
სოფ. ქვემო კრიხში დაფიქსირებული იქნა წმინდა გიორგის ეკლესიის ამჟამინდელი მდგომარეობა;
სოფ. სხვავაში არსებული ღირსშესანიშნაობები იქნა მონახულებული და აღბეჭდილი;
სოფ. ნიკორწმინდაში საკათედრო ტაძრის ამჟამინდელი მდგომარეობის დათვალიერება, დაფიქსირება;
სოფ. ხიმშში წმ. გიორგის ტაძრის ამჟამინდელი მდგომარეობის დაფიქსირება, არქეოლოგიური მასალების მოძიება;
სოფ. ღვიარაში წმინდა თევდორეს ეკლესიის დათვალიერება სკოლის მოსწავლეებთან და პედაგოგებთან ერთად, ერთობლივი გასვლითი სამუშაო დღე.
სოფ. გორი წმ.გიორგის ეკლესიის შესახებ ინფორმაციების შეგროვება. ძეგლის სტტუსის მინიჭების და სარიაბილიტაციო სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით.
სოფ. სადმელი, სამების ეკლესიის ამჟამინდელი მდგომარეობის დათვალიერება, დაფიქსირება.
საქართველოს სხვადასხვა მუზეუმებში დაცული, რაჭიდან გატანილი კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების ფოტოგამოფენისათვის მზადება.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის მივლინება, მესტიის მუნიციპალიტეტში არსებულ მუზუმებში დაცული, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალების დათვალიერება-შესწავლის მიზნით.

- **ა(ა)იპ „ამბროლაურის სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება დავით თორაძის სახელობის ხელოვნების სკოლა“ (პროგრამული კოდი 05 02 01 02)**

ხელოვნების სკოლაში გაერთიანებულია საფორტეპიანო (11 მოსწავლე), ხალხური საკრავების (31 მოსწავლე); გიტარა (18 მოსწავლე); საესტრადო ვოკალი (40 მოსწავლე); ქართული ხალხური სიმღერების (14 მოსწავლე), ქართული ცეკვები ჯგუფი „რაშოვდა“ (55 მოსწავლე); ქართული ხალხური და თანამედროვე ცეკვები (141 მოსწავლე); სკოლაში სახელოვნებო-სამუსიკო განათლებას იღებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 321 ბავშვი.

სკოლის ქორეოგრაფიულმა და საესტრადო ანსამბლმა „თი-ემ-სი“ მონაწილეობა მიიღო კულტურის სახლში გამართულ სარვამარტო-საზაფხულო კონცერტში „ტკბილი ჰანგები“. ხელოვნების სკოლა მიწვეული იყო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე „მშვიდობა მსოფლიოს“, რომელიც განხორციელდა ქ. თბილისში, საკონცერტო დარბაზში „მუზა“. სკოლამ ფესტივალზე მიიღო ჯილდო-საზღვარგარეთის საგზური. ქ. ტყიბულში, ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდიაასთან ერთობლივ საანგარიშო მეგობრულ კონცერტში მონაწილეობდა: 1)ქორეოგრაფიული 2) ხალხურ საკრავთა 3) საესტრადო 4) ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლები; ხაშურის სამუსიკო სკოლაში გაიმართა გალა კონცერტი, სადაც საზეიმოდ დაჯილდოვდა „ მომავლის ვარსკვლავებში“

გამარჯვებული ჩვენი სკოლის ხალხურ/საკრავთა ორკესტრი „საპოვნელა“ და ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „მრავალძალი“ პირველი ადგილის დიპლომებით. ქ. ქუთაისში ჩატარდა საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალი-დათვალიერება „მოგზაურობა დროში“ მონაწილეობდა ქორეოგრაფიული ანსამბლი „თი-ემ-სი:“ ქორეოგრაფიული ანსამბლი „თი-ემ-სი“ თურქეთში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე იყო მიწვეული საზღვარგარეთის საგზურით, რომელიც სკოლას გადაეცა თბილისში ფესტივალზე „მშვიდობა მსოფლიოს“, ანსამბლი დაბრუნდა პრიზით და გადმოგვეცა მადლობის წერილი. წარმატებით განხორციელდა სკოლის პროექტი მოზარდთა მრავალჟანრობრივი ფესტივალი “სახიობა რაჭაში-2024“ მონაწილეობდა 18 მუნიციპალიტეტის სახელოვნებო-სამუსიკო სკოლა, ფოლკლორული ანსამბლები, სტუდიები, 500-მდე მონაწილე მოსწავლე. ხალხურ საკრავთა ანსამბლები „საპოვნელა“ და ქორეოგრაფიული ანსამბლი „თი-ემ-სი“ საშუალო ჯგუფები მიწვეული იყო ერევანში კონკურს-ფესტივალზე. საზღვარგარეთის საგზურით, რომელიც სკოლას გადაეცა თბილისში ფესტივალზე „მშვიდობა მსოფლიოს“; ზღვის კონკურს-ფესტივალში „ჰარირა“, რომელიც ქობულეთში გაიმართა ქორეოგრაფიული და საესტრადო ანსამბლების პატარა დებიუტანტებმა პირველი ადგილი მოიპოვეს.

ონში გამართულ ქორეოგრაფიული კავშირის ხელმძღვანელის კახა მარკოიშვილის მიერ განხორციელებული ფესტივალი „ვიცეკვოთ ქართულად“-2024. სადაც მონაწილეობდა ქორეოგრაფიული ანსამბლი „თი-ემ-სი“. ანსამბლს გადაეცა სამახსოვრო ჯილდო და დიპლომები წარმატებული გამოსვლისათვის. რესპუბლიკური კონკურს-ფესტივალის კვირეულში, ქ. სტამბულში ქორეოგრაფიული ანსამბლი „რაშოვდა“ მონაწილეობდა, სადაც დაიმსახურეს პირველი ადგილი. გოგონები დაჯილდოვდნენ ნომინაციით „საუკეთესო შესრულება და არტისტიზმი“.

ანსამბლები: „საპოვნელა“ და „მრავალძალი“ მონაწილეობდა თბილისში გამართულ დათვალიერება-ფესტივალში „შემოდგომის თბილისი“, სადაც წარმატებით წარადგინეს ფოლკლორული რეპერტუარი.

- **ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო სააღმზრდელო დაწესებულება ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა“ (პროგრამული კოდი 05 02 01 03)**

სამხატვრო სკოლაში ირიცხება 84 მოსწავლე. სახვითი ხელოვნების ჯგუფებში 45 ბავშვია; ხოლო გამოყენებითი ხელოვნების ჯგუფებში 39.
საანგარიშო პერიოდში სკოლის საგამოფენო დარბაზში ჩატარდა სასწავლო პროგრამის მიხედვით დაგეგმილი გამოფენა, რომელშიც ერთობლივად, საკუთარი ნამუშევრებით მონაწილეობა მიიღეს სკოლის ორივე განყოფილების წარჩინებულმა მოსწავლეებმა. ასევე ჩატარდა ტრადიციული ,,შიდა საკლასო“ გამოფენა. ქ.თბილისში ნათელა იამქოშვილის სახელობის მუზეუმში გაიხსნა გამოფენა ,,პორტრეტი თანამედროვე მხატვართა შემოქმედებაში“, რომელშიც საკუთარი ნამუშევრით მონაწილეობა მიიღო სამხატვრო სკოლის სახვითი ხელოვნების პედაგოგმა. სკოლის საგამოფენო დარბაზში ჩატარდა „საგაზაფხულო“ სახის გამოფენა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო, სახვითი ხელოვნების ყველა ჯგუფის მოსწავლე-პედაგოგმა საკუთარი ნამუშევრებით. სკოლის სალონურ გარემოში მოეწყო სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჯგუფების, წარჩინებული მოსწავლეების ნამუშევრების შერეული სახის გამოფენა. სკოლის სალონურ გარემოში ჩატარდა ხატწერის ჯგუფის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა. ,,ონელობა 2024“ გაიმართა ქ. ონში, სადაც სამხატვრო სკოლამ გამოყენებითი ხელოვნების დარგის, თექისა და ხალიჩა-ფარდაგის ნამუშევრებით მოახდინა ჩართულობა. ქ. თბილისში გამართულ ,,თბილისობის“ დღესასწაულზე, სამხატვრო სკოლამ ხალიჩა-ფარდაგისა და თექის ჯგუფების მოსწავლეთა მრავალფეროვანი ნამუშევრებით მოახდინა ჩართულობა. ასევე ოქტომბერში ქ.თბილისში, მხატვართა ლიგის ორგანიზებით გამართულ ,,საშემოდგომო გამოფენა“-ში, სამხატვრო სკოლიდან ოთხი მოსწავლე და ორი პედაგოგი მონაწილეობდა, რომელთა ნამუშევრებიც ,,საშემოდგომო კატალოგში“ შევიდა. სალონურ გარემოში ჩატარდა ხალიჩა-ფარდაგის ჯგუფის ორი წარჩინებული მოსწავლის ნამუშევრების გამოფენა, ასევე ჩატარდა ტიხრულ მინანქარზე შესრულებული ნამუშევრების გამოფენა. სკოლაში მოწვეული იყო სოფ. სადმელის ინკლუზიური ცენტრის ბენეფიციარები, რომელთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა

სკოლის საგამოფენო სივრცეში მოეწყო. წლის ბოლოს ჩატარდა შემაჯამებელი საახალწლო გამოფენა-ღონისძიება.

- **ა(ა)იპ ამბროლაურის სახვითი ხელოვნებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (პროგრამული კოდი 05 02 01 04)**

მუნიციპალურ მუზეუმში განთავსებულია 877 ექსპონატი. 609 ექსპონატი სახვითი ხელოვნების მუზეუმში, ხოლო 266 - აზარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მუზეუმმა განახორციელა შემდეგი ღონისძიებები და გამოფენები:

- სახვითი ხელოვნების მუზეუმის საგამოფენო დარბაზების რეექსპოზიცია.
- მუდმივმოქმედი ექსპოზიცია (მთელი წლის განმავლობაში);
- საშობაო გამოფენა;
- ქართული თეატრის დღე, 14 იანვარი, თეატრისა და კინოს მხატვრების ნამუშევრების გამოფენა.
- საგაზაფხულო გამოფენა;
- ონის სამხატვრო სკოლის მოსწავლეების ნამუშევრების გამოფენა;
- სოცრეალიზმი და თანამედროვეობა;
- გამოყენებითი ხელოვნება - თექა;
- ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა.
- თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტების ნამუშევრების გამოფენა.
- მარიამ და ნიკა ჩხატარაშვილების ნამუშევრების გამოფენა;
- მუზეუმის ფონდში დაცული ჭედური ნამუშევრების გამოფენა;
- გიორგი ოჩიაურის ნამუშევრების გამოფენა, (ჭედურობა, გრაფიკა,ქანდაკება)
- საშემოდგომო გამოფენა;
- 2024 წელს სახვითი ხელოვნების მუზეუმს შეემატა 4 ახალი ექსპონატი -( ტატო ახალკაციშვილი (ფერწერა), თამუნა შიუკაშვილი (ფერწერა), ნინო ქოქოსაძე (კოლაჟი-2 ნამუშევარი).

2024 წელს ვიზიტორების რაოდენობამ შეადგინა-612.

- **კაპიტალური დაბანდებები კულტურის სფეროში (პროგრამული კოდი 05 02 03)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქ. ამბროლაურში მ. კოსტავას ქუჩა N36-ში მდებარე ყოფილი კინოს შენობის შესყიდვა.

- **(ა)იპ ტურისტული ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 06)**

ტურისტული ცენტრის ორგანიზებით საანგარიშო პერიოდში მოხდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში არსებული სასტუმროების, კვებისა და განთავსების ობიექტების, ასევე ტურისტული ცენტრის წარმომადგენელთა დასწრება სხვადასხვა სახის ტრენინგებზე, რომელიც დაგეგმილი იყო ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ. გამხორციელდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ტურისტული საფეხმავლო ბილიკების შემოვლა; მოხდა ბილიკების მონიტორინგი: მარკირებების, ნიშნულებისა და საინფორმაციო დაფების აღრიცხვა; ბილიკების წმენდა, მარკირებების განახლება. ტურისტულმა ცენტრმა მოახდინა

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შემდეგი საფეხმავლო ბილიკების (სადმელი-რიცეულის, ზემო კრიხის, ჭელიში-ნიკორწმინდის, ზნაკვის ჩანჩქერების, წესი-ველიეთის, საკიშორე-კიდობანას, სხარტალი- ხოტევის და ქვაბთკრის („სიყვარულის ჩანჩქერი“, „პატარძლის ჩანჩქერი“) რეაბილიტაცია-წმენდა. აღნიშნული ბილიკებისათვის, ტურისტულმა ცენტრმა განაახლა დაზიანებული დაფა-ნიშნულები, დამონტაჟდა 34 ისრისებური მანიშნებელი, რომელზეც მითითებულია ბილიკის დასაფარი დრო და მანძილი. აქტიურად მიმდინარეობს ქალაქ ამბროლაურსა და უშუალოდ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტურისტული ობიექტების (განთავსების/ კვების ობიექტები, მარნები) შემოვლა, ცენტრში არსებულ ბაზას დაემატა 10 ახალი ობიექტი. ამჟამად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიქსირებულია ჯამში - 155 სასტუმრო და საოჯახო ტიპის სასტუმრო. 37 ღვინის მარანი. ამბროლაურის ტურისტულმა ცენტრმა 2024 წელს 7600 ვიზიტორს გაუწია საინფორმაციო მომსახურება. უნდა აღინიშნოს, რომ უშუალოდ ცენტრში ვიზიტის გარდა, სატელეფონო თუ ონლაინ კავშირის მეშვეობით, აქტიურად ხდება ტურისტების მიერ ინფორმაციის მოთხოვნა და ცენტრის თანამშრომლები, უწყვეტ რეჟიმში უზრუნველყოფენ დაინტერესებულ პირთა ინფორმირებულობას.

## კულტურის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 02)

კულტურული ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- 26 მაისის ღონისძიების ორგანიზება;
- განხორციელდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადა;
- დაუნის სინდრომის მქონე პირთა მხარდამჭერი აქცია;
- „უანგარო მზრუნველი“-ს წოდება მიენიჭა 2 ბენეფიციარს;
- სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდის მიერ ინიცირებული პროექტის - ველომარათონის დაფინანსება, რომელშიც მონაწილეობა 100 - მდე პროფესიონალმა და მოყვარულმა სპორტსმენმა მიიღო;
- ,,ამბროლაურის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის სფეროში საპატიო წოდებების მინიჭებისა და ჯილდოს გაცემის პროგრამის’’ ფარგლებში სპორტსმენებზე (28 პირი) გაიცა ფულადი ჯილდო;
- კურორტ ბახმაროში გასამართ საცხენოსნო შეჯიბრში ამბროლაურის წამომადგენლების ტრანსპორტირება;
- თავისუფალი სტილით ჭიდაობის მსოფლიოს ჩემპიონის 2(ორი) ერთეული საიმიჯო ბანერის შესყიდვა;
- ახალი წლის ნაძვისხის მანათობელი და მოსართავი სათამაშოების შესყიდვა; ახალი წლის საზეიმო ღონისძიების მონაწილე და ვიზიტორი ბავშვების დასაჩუქრების მიზნით, სხვადასხვა სახის ტკბილეულის შესყიდვა;
- ვეტერანების დღის (17 ოქტომბერი) აღნიშვნის ორგანიზება;

## ახალგაზრდობის მხარდჭერა (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამა ითვალისწინებდა ახალგაზრდული ინიციატივების, ადგილობრივი და საერთაშორისო ახალგაზრდული პროექტების ხელშეწყობას, ორიენტირებული იყო მასობრივი სპორტის პოპულარიზაციასა და განვითარებას, საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაზე; ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის ქ. ამბროლაურში მდებარე

სხვადასხვა პროფილის სკოლისგარეშე დაწესებულებების სასწავლო პროგრამებზე თანაბარი წვდომის ხელშეწყობაზე; ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღნიშვნისთვის (12 აგვისტო) მოხდა საჭირო ინვენტარის შეძენა; განხორციელდა მუნიციპალიტეტის სკოლებში სასკოლო სპორტის კვირეულის ორგანიზება და სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2024-2025 გახსნა; ახალგაზრდულ ღონისძიებათა დაფინანსების პროგრამა (პროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდების, როგორც ქვეყნის მასშტაბით გასამართ პროექტებში მონაწილეობის, ასევე ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების ორგანიზების ხელშეწყობას); ახალგაზრდული სივრცეების კეთილმოწყობის მიზნით შეძენილ იქნა ინვენტარი (კომპიუტერის მაგიდა - 4 ცალი, სამუშაო მაგიდა - 2 ცალი, ტუმბო - 4 ცალი, კარადა - 2 ცალი, პერს. კომპიუტერი - 1 ცალი, პრინტერი - 1 ცალი, სავარძელი - 4 ცალი, ოფისის სკამი - 28);

## ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები დაფინანსდა 1112,6 ათასი ლარით, გეგმით გათვალისწინებული 1243,1 ათასი ლარი. მათ შორის ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსებას მოხმარდა 434,6 ათასი ლარი, ხოლო სოციალურ დაცვას 678,0 ათასი ლარი.

| პროგრამული კოდი | პროგრამის დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|---|
| 06 00 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 1243,1 | 1112,6 | 90 |
| 06 01 | ჯანმრთელობის დაცვა | 493,8 | 434,6 | 88 |
| 06 01 01 | საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა | 179,0 | 134,1 | 75 |
| 06 01 03 | ხანგრძლივად მოავადე პაციენტთა სამედიცინო მომსახურების (მედიკამენტური მკურნალობა) და ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა დიეტური კვებით მკურნალობის ქვეპროგრამა | 35,4 | 33,1 | 94 |
| 06 01 04 | ონკოლოგიური/სიმსივნური დაავადების მქონე პაციენტთა დაფინანსების/თანადაფინანსება | 145,0 | 142,0 | 98 |
| 06 01 06 | ამბულატორიულ-მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | 48,0 | 46,5 | 97 |
| 06 01 07 | ქირურგიული ოპერაციის საჭიროების მქონე პაციენტთა თანადაფინანსება | 86,5 | 78,9 | 91 |
| 06 02 | სოციალური დაცვა | 749,3 | 678,0 | 90 |
| 06 02 01 | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება და საახალწლო და სააღდგომოდ სასურსათო პაკეტით უზრუნველყოფა | 45,7 | 42,0 | 92 |
| 06 02 02 | ახალშობილთა და ახლადშექმნილი ოჯახების ფინანსური დახმარება | 44,2 | 41,7 | 94 |
| 06 02 03 | მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება | 1,5 | 0,3 | 17 |
| 06 02 04 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 0 დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების ერთჯერადი ფინანსური დახმარება, შშმ | 191,0 | 172,0 | 90 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | პირთა ზრუნვის ხელშეწყობა, დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეთა ფინანსური დახმარება | | | |
| 06 02 05 | ხანძრის შედეგად (საცხოვრებელ სახლზე) დაზარალებული ოჯახების ფინანსური დახმარება; | 90,0 | 86,3 | 96 |
| 06 02 06 | მრავალშვილიან (სამი და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი) ოჯახზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება | 82,8 | 82,2 | 99 |
| 06 02 07 | მარჩენალდაკარგული (0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება | 22,9 | 21,8 | 95 |
| 06 02 08 | უსახლკარო ოჯახების საცხოვრებელი ბინის ყოველთვიური ქირით უზრუნველყოფა | 99,5 | 60,6 | 61 |
| 06 02 09 | მარტოხელა მშობლის ერთჯერადი ფინანსური დახმარება | 6,6 | 6,6 | 100 |
| 06 02 10 | ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ფინანსური დახმარება | 23,8 | 23,4 | 98 |
| 06 02 11 | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ზამთრის თბობისათვის ფინანსური დახმარება | 82,8 | 82,8 | 100 |
| 06 02 13 | ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა | 58,5 | 58,5 | 100 |

ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამის მიხედვით განხორციელდა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის დელეგირებული უფლებამოსულობების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; სანიტარულ-ჰიგიენური პირობების კონტროლი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ შესაბამის ობიექტებზე ეპიდზედამხედველობა;

მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა მოქალაქეთა სამედიცინო და მედიკამენტური მკურნალობა.

| N | პროგრამის დასახელება | ბენეფიციარი |
|---|---|---|
| 1 | ონკოლოგიური/სიმსივნური დაავადების მქონე პაციენტთა დაფინანსების/თანადაფინანსება | 122 |
| 2 | ქირურგიული ოპერაციის საჭიროების მქონე პაციენტთა თანადაფინანსება | 113 |
| 3 | ამბულატორიულ-მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | 103 |
| 4 | ხანგრძლივად მოავადე პაციენტთა სამედიცინო მომსახურების (მედიკამენტური მკურნალობა) და ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა დიეტური კვებით მკურნალობის ქვეპროგრამა | 95 |
| | სულ | 433 |

სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

| N | პროგრამის დასახელება | ბენეფიციარი |
|---|---|---|
| 1 | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება და საახალწლო და სააღდგომოდ სასურსათო პაკეტით უზრუნველყოფა | 24/151 |
| 2 | ახალშობილთა და ახლადშექმნილი ოჯახების ფინანსური დახმარება | 63/9 |
| 3 | მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება | 1 |
| 4 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 0 დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების ერთჯერადი ფინანსური დახმარება, შშმ პირთა ზრუნვის ხელშეწყობა, დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეთა ფინანსური დახმარება | 23/58/18 |
| 5 | ხანძრის შედეგად (საცხოვრებელ სახლზე) დაზარალებული ოჯახების ფინანსური დახმარება; | 6 |
| 6 | სამი და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვიან ოჯახზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება | 144 |
| 7 | მარჩენალდაკარგული (0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება | 36 |
| 8 | უსახლკარო ოჯახების საცხოვრებელი ბინის ყოველთვიური ქირით უზრუნველყოფა | 17 |
| 9 | მარტოხელა მშობლის ერთჯერადი ფინანსური დახმარება | 22 |
| 10 | ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ფინანსური დახმარება | 117 |
| 11 | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ზამთრის თბობისათვის ფინანსური დახმარება | 276 |
| 12 | ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა | 108 |
| | **ს უ ლ** | **1073** |